სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/56

ქ. თბილისი 5 ნოემბერი 2024

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ბიოტექნოლოგიის ცენტრის საშტატო განრიგში შესატანი ცვლილების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) 2024 წლის 21 ოქტომბრის №0001356116 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2024 წლის 5 ნოემბრის №01-06-02/09 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. დამტკიცდეს სტუ-ის ბიოტექნოლოგიის ცენტრის საშტატო განრიგში შესატანი ცვლილება, კერძოდ უფროსი მეცნიერ-თანამშრომლისა (სრული განაკვეთი) და მეცნიერ-თანამშრომლის (0,5 განაკვეთი) შტატების გაერთიანების ხარჯზე ჩამოყალიბდეს მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის 1 საშტატო ერთეული, სახელფასო განაკვეთით 1215,50 ლარი თვეში;
2. დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 1 ნოემბრიდან;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**